შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კვლევის და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი

2023 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კვლევის და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს სტუდენტთა კვლევითი პროექტისა და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების მიზნით კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო განაცხადის წარდგენის, დაფინანსებული კვლევითი პროექტის განხორციელებისა და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესსა და პირობებს.

2. დოკუმენტის მიზანია სტუდენტთა კვლევის, სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, გამჭვირვალე, სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურების დანერგვა.

მუხლი 2. კვლევითი პროექტის, სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წყარო

სტუდენტთა კვლევითი პროექტი და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხის ფარგლებში. თითოეული ფაკულტეტის ფარგლებში, აკადემიური წლის განმავლობაში ერთხელ ხდება კვლევითი პროექტის და ერთხელ სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება.

მუხლი 3. კვლევითი პროექტისა და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის კონკურსის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები

კონკურსის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კონკურსის ინიცირება და გამოცხადება;

ბ) საკონკურსო კომისიის ფორმირება;

გ) საპროექტო განაცხადის შეფასება ან სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადის შეფასება (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3, დანართი №4)

დ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

ე) აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

ვ) კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ ან სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება;

ზ) კვლევითი პროექტის შესრულების შესახებ ან სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ ანგარიშგება (დანართი №5, დანართი №6).

მუხლი 4. კვლევითი პროექტის კონკურსის, სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის კონკურსის ინიცირება და გამოცხადება

1. კვლევითი პროექტის კონკურსის, სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის კონკურსის ინიცირებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, ყოველწლიურად გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში. სტუდენტთა კვლევითი პროექტის კონკურსის, სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ფაკულტეტის დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს კვლევითი პროექტის ან სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შეფასების მიზნით კომისიის დამტკიცების თაობაზე და წარუდგენს კომისიის შემადგენლობას.

მუხლი 5. კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლების მქონე პირი

1. კვლევითი პროექტის კონკურსში ან სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლება აქვს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის სტუდენტს.

2. კვლევით პროექტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში არ უნდა იყოს 3 სტუდენტზე მეტი. სამუშაო ჯგუფს აუცილებლად უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც არ არის აფილირებული არცერთ უნივერსიტეტთან საქართველოში და თანახმაა, კვლევითი პროექტის შედეგები გამოაქვეყნოს ევროპის უნივერსიტეტის სახელით. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დაფინანსება კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული.

3. სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის კონკურსში განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილია ნებისმიერი კურსის სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი. შესაძლებელია, რომ წარმოდგენილ მოხსენებას თანაავტორად ჰყავდეს ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც არ არის აფილირებული არცერთ უნივერსიტეტთან საქართველოში და თანახმაა მოხსენება ევროპის უნივერსიტეტის სახელით გააკეთოს. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დაფინანსება კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული.

4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტური კვლევითი პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ნაშრომის მომზადებაც, ეს უკანასკნელი აღარ დაექვემდებარება დაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციის კონკურსის ფარგლებში.

მუხლი 6. საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია

1. საპროექტო განაცხადი ან სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურში.

2. საპროექტო საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) განაცხადის ფორმა (დანართი № 1);

ბ) განაცხადის ყველა მონაწილის CV/რეზიუმე;

გ) სტუდენტის ცნობა;

დ) ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის თანხმობის წერილი კვლევით პროექტში სამეცნიერო ხელმძღვანელად მონაწილეობის შესახებ.

ე) თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებაზე.

3. სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) განაცხადის ფორმა (დანართი № 2);

ბ) განაცხადის ყველა მონაწილის CV/რეზიუმე;

გ) სტუდენტის ცნობა;

დ) ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის თანხმობის წერილი მოხსენების თანაავტორად ყოფნის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) კონფერენციის ორგანიზატორებისგან მიღებული თანხმობა/ოფიციალური მოწვევის წერილი კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობის შესახებ;

ვ) კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობის ღირებულების მტკიცებულება.

4. სტუდენტის მიერ წარდგენილი კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს საკონკურსო დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე წარმოდგენა.

6. უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახური საპროექტო განაცხადს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ კომისიასთან ერთად ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში კონკურსანტს განესაზღვრება ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ოდენობით, დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საკონკურსო განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის ფორმირება

1. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით. კომისიის წევრებს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი. კომისიის წევრობის უფლება აქვს ექსპერტს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა. აქვს სფეროს შესაბამისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ. აქვს კვლევითი საქმიანობის გამოცდილება.

2. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს კომისიის ისეთი წევრი, რომელსაც აქვს სფეროს შესაბამისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

მუხლი 8. განაცხადის შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ

1. საპროექტო განაცხადის ან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადის შეფასების საფუძველზე, დასკვნის მომზადებას ახორციელებს საკონკურსო კომისია.

2. განაცხადი ფასდება ანონიმურად; შეფასების პროცესის დროს დაცულია კონფიდენციალურობა. ექსპერტების ვინაობა არ საჯაროვდება.

3. პირველ ეტაპზე, წინადადებები შესაფასებლად ეგზავნება თითოეულ ექსპერტს, რომლებიც ქულებით აფასებენ პროექტს და წარმოადგენენ შენიშვნებს (დანართი №3, დანართი №4).

4. კომისია დასკვნას (შეფასების შემაჯამებელი დასკვნა) ამზადებს ყველა ექსპერტის მიერ მოწოდებული წინადადებების საფუძველზე, მსჯელობის შედეგად.

5. კვლევითი პროექტის საკონკურსო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა. კვლევითი პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ. კვლევითი პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ. კვლევითი პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

6. სტუდენტის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის საკონკურსო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

7. კომისია უფლებამოსილია კონკურსის გამარჯვებული კვლევითი პროექტის ავტორს/ავტორებს, საჭიროების შემთხვევაში, განუსაზღვროს ვადა ეთიკის კომიტეტის დასკვნის წარმოსადგენად.

მუხლი 9. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

1. კვლევითი პროექტის განაცხადის შეფასება კომისიის წევრების მიერ ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა (დანართი №3). სავალდებულოა შეფასების განმარტება თითოეული კრიტერიუმით შეფასებისას. შენიშვნები უნდა იძლეოდნენ საფუძველს შესაბამისი ქულების დასაწერად. თითოეული კრიტერიუმით შეფასების მაქსიმალური ქულაა - 10 (ათი), ხოლო მინიმალური - 0. საპროექტო განაცხადი სულ ფასდება 6 (ექვსი) კრიტერიუმით. საპროექტო განაცხადმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 40 (ორმოცი) ქულა.

2. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადის შეფასება კომისიის წევრების მიერ ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა (დანართი №4). სავალდებულოა შეფასების განმარტება თითოეული კრიტერიუმით შეფასებისას. შენიშვნები უნდა იძლეოდნენ საფუძველს შესაბამისი ქულების დასაწერად. თითოეული კრიტერიუმით შეფასების მაქსიმალური ქულაა - 10 (ათი), ხოლო

მინიმალური - 0. საპროექტო განაცხადი სულ ფასდება 3 (სამი) კრიტერიუმით. საპროექტო განაცხადმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 20 (ოცი) ქულა.

მუხლი 10. უკუკავშირი განაცხადის ავტორ(ებ)თან

თითოეული განაცხადის ავტორი იღებს შეფასების შემაჯამებელ დასკვნას, რომელიც ასახავს როგორც კომისიის საერთო შეფასებას (მათ შორის, ცვლილებების შეტანის და, გამონაკლის შემთხვევებში, სხვა პროექტთან შერწყმის შეთავაზებით), ასევე, თითოეული კრიტერიუმის შეფასებასა და შენიშვნებს.

მუხლი 11. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 3 (სამი) დღის ვადაში, განაცხადის ავტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურის მეშვეობით, გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება.

2. სტუდენტთა საჩივრის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს რექტორს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

3. სააპელაციო კომისია საჩივრის შემოსვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს ერთ - ერთ გადაწყვეტილებას:

ა. კომისიის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ. კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

მუხლი 12. კვლევითი პროექტის, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება და ხელშეკრულების გაფორმება

1. კომისიის მიერ ამ წესის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს რექტორს კვლევითი პროექტის ან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების შესახებ.

2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ცხადება კონკურსი და განისაზღვრება კვლევითი პროექტის ან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების ბიუჯეტით გათვალისწინებული მაქსიმალური ჯამური თანხა და კვლევითი პროექტის ან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის ერთ განაცხადზე განსაზღვრული მაქსიმალური თანხა. კვლევითი პროექტის კონკურსის შედეგად თითოეული ფაკულტეტის ფარგლებში ფინანსდება საუკეთესო შედეგის მქონე საპროექტო განაცხადის ის რაოდენობა, რაც შესაძლებელია დაფინანსდეს ბიუჯეტით განსაზღვრული თანხებისა და საკონკურსო განაცხადის ბიუჯეტის გათვალისწინებით, ხოლო სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში თითოეული ფაკულტეტის ფარგლებში კონკურსის შედეგად ფინანსდება საუკეთესო შედეგის მქონე საკონკურსო განაცხადის ის რაოდენობა, რაც შესაძლებელია დაფინანსდეს ბიუჯეტით განსაზღვრული თანხებისა და კონფერენციის საფასურის გათვალისწინებით.

3. კვლევითი პროექტის განაცხადების მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი ტური, სადაც განაცხადის ავტორი წარმოადგენს კვლევითი პროექტის პრეზენტაციას. შეფასებას ახორციელებს კომისია იმავე შემადგენლობით. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

4. წარმოდგენილი კვლევის პროექტის მიმართ არსებული ინტერესის გათვალისწინებით, რომელმაც დაიმსახურა მაღალი შეფასება, მაგრამ პროექტის ბიუჯეტი აღემატება კვლევითი პროექტის დაფინანსებისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ ოდენობას, კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის პრეზიდენტთან შეთანხმებით, უფლებამოსილია გაზარდოს საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული ბიუჯეტის ოდენობა.

5. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადების მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი ტური, სადაც საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადის ავტორი წარმოადგენს კონფერენციაზე წარსადგენი ნაშრომის აბსტრაქტის პრეზენტაციას. შეფასებას ახორციელებს კომისია იმავე შემადგენლობით. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

6. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების მიმართ არსებული ინტერესის გათვალისწინებით, თუკი განაცხადების იმ რაოდენობამ დაიმსახურა მაღალი შეფასება, რომელთა ბიუჯეტი ჯამში აღემატება საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ ოდენობას, კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის პრეზიდენტთან შეთანხმებით, უფლებამოსილია გაზარდოს საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული ბიუჯეტის ოდენობა.

7. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კვლევითი პროექტისა და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების ოდენობა ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების შესაბამისად, რის საფუძველზეც მხარეებს შორის ფორმდება „კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ“ ხელშეკრულება ან/და „საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების შესახებ“ რექტორის ბრძანება.

8. „კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ“ ხელშეკრულებით განისაზღვრება: კვლევითი პროექტი, მკვლევარი/კვლევაში ჩართული სხვა პირები, დაფინანსების ოდენობა, ანგარიშსწორების ეტაპები, მხარეთა ურთიერთსანაცვლო ვალდებულებები, ანგარიშების წარმოდგენის ვადები და ა.შ.

9. „საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების შესახებ“ ბრძანებით განისაზღვრება: გამარჯვებული საკონფერენციო განაცხადები, დაფინანსების ოდენობა, მხარეთა ურთიერთსანაცვლო ვალდებულებები, ანგარიშების წარმოდგენის ვადები და ა.შ.

მუხლი 13. ანგარიშვალდებულება

1. კვლევითი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით (კვარტალში ერთხელ) ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს შუალედური ანგარიში კვლევის მიმდინარეობის შესახებ და საბოლოო ანგარიში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის ფორმის შესაბამისად (დანართი №5).

1.1. კვლევითი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად, კვლევის ვადების დარღვევით მიმდინარეობის დადგენის შემთხვევაში, კვლევითი პროექტის

სამეცნიერო ხელმძღანელი ვალდებულია წარადგინოს ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის დადგომის ხელისშემშლელი გარემოებების თაობაზე.

1.2. ვადის დარღვევის ობიექტური საფუძვლის გათვალისწინებით, მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ კვლევითი პროექტის შესრულების ვადის ცვლილების შესახებ. აღნიშნული ცვლილება აისახება მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

1.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, კვლევითი პროექტის სამეცნიერო ხელმძღანელი ვალდებულია კვლევითი პროექტის სრულად შესრულების შესახებ ანგარიში წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

1.4 კვლევით პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, კვლევითი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის კვლევითი პროექტის განხორციელებისა და შედეგების, კვლევის პრაქტიკული და თეორიული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება შეხვედრების/დისკუსიების და ა.შ. მეშვეობით.

2. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე ვალდებულია, წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს ანგარიში კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ წინასწარ შემუშავებული ანგარიშის ფორმის შესაბამისად (დანართი № 6).

საპროექტო საკონკურსო განაცხადი

სახელი, გვარი:	
ID ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
ელ. ფოსტა:	
ტელეფონი:	
მისამართი:	
ფაკულტეტი:	
პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:	
კვლევითი პროექტის სახელწოდება:	
კვლევითი პროექტის მიმართულება:	
კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა:	(თვე)
მოთხოვნილი თანხა:	(ლარი)
თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში):	(ლარი)

კვლევითი პროექტის წინადადება

შრიფტის ზომა -10, გარდა ცხრილებისა, სადაც შრიფტის მინიმალური ზომა შეიძლება იყოს 8. ინტერვალი მწკრივებს შორის -1. A4 ფორმატი; გვერდების ველები - 15 მმ; Arial or Times New Roman ან Sylfaen

1. კვლევითი პროექტი

ა. აქტუალობა/სიახლე/საკვლევი საკითხი:

ბ. კვლევის მიზნები/ამოცანები:

გ. კვლევის მეთოდოლოგია:

დ. მოსალოდნელი შედეგები/სამეცნიერო/პრაქტიკული ღირებულება:

ე. კვლევის შედეგების გავრცელების/დისემინაციის გეგმა:

2. პროექტის განხორციელება

ა. საჭირო მატერიალურ/ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები (დეტალური აღწერითა და დასაბუთებით);

ბ. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი *(პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს)*

ამოცანა	თვე 1	თვე 2	თვე 3	თვე 4	თვე 5	თვე 6
ამოცანა 1.						
ამოცანა 1.1.						
ამოცანა 2.						
ამოცანა 2.1						
.....						
.....						
.....						

3. ბიუჯეტი

ინდივიდუალური ფინანსური მხარდაჭერა (სრული განაკვეთი) კვლევაში ჩართული თითოეული მონაწილესთვის			**მოთხოვნილი თანხა (ლარი)**
სახელი და გვარი	თვიური ანაზღაურება (ლარი)	თვეების რაოდენობა	
ინდივიდუალური ფინანსური მხარდაჭერა (ჯამი)			
საჭირო აღჭურვილობა, რესურსი და მომსახურება *(გთხოვთ, ჩამოთვალოთ. თითოეული მათგანი აუცილებელია განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*			--------
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
რესურსისა და მომსახურების ღირებულება (ჯამი)			
მგზავრობა *(გთხოვთ, განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*			--------
ქვეყნის ტერიტორიაზე მგზავრობა			
საერთაშორისო მგზავრობა			
საზღვარგარეთ ცხოვრების ხარჯები (Per Diem)			
მგზავრობის სხვა ხარჯები (მაგ. ვიზის, კონფერენციაზე რეგისტრირების და ა.შ. ხარჯები)			
მგზავრობის ხარჯი (ჯამი)			

სხვა ხარჯები *(გთხოვთ, განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*	
მოთხოვნილი თანხა სულ	
არსებობის შემთხვევაში: სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსება *(გთხოვთ, განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*	

ბიუჯეტის ვერბალური აღწერა

4. დანართები (სავალდებულო):

□ განაცხადის ყველა მონაწილის CV/რეზიუმე.

□ განაცხადის ყველა მონაწილის სტუდენტის ცნობა.

□ ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის თანხმობის წერილი კვლევით პროექტში სამეცნიერო ხელმძღვანელად მონაწილეობის შესახებ.

აღჭურვილობა, რესურსი და მომსახურება:
მგზავრობა:
სხვა (არსებობის შემთხვევაში):
სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსება (არსებობის შემთხვევაში):
შენიშვნა:

□ თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებაზე.

□ გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობისთვის.

□ განცხადებაზე ხელისმოწერით ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ ინფორმაციას. ასევე თანახმა ვარ, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადამოწმებასა და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსიდან მოიხსნას ჩემს მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადი.

სახელი და გვარი:_____

ხელმოწერა: _____ თარიღი: __/__/_____

დანართი № 2

სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის საკონკურსო განაცხადი

სახელი, გვარი:	
ID ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
ელ. ფოსტა:	
ტელეფონი:	
მისამართი:	
ფაკულტეტი:	
მიმართულება:	
საერთაშორისო კონფერენციის სახელწოდება და ვებ-გვერდის მისამართი:	
საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა) და თარიღი:	
საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების ფორმატი:	☐ ონლაინ/დისტანციური ☐ ადგილზე
საერთაშორისო კონფერენციაზე წარსადგენი ნაშრომის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე):	
საერთაშორისო კონფერენციაში თანამონაწილე პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
სამეცნიერო ხელმძღვანელი:	
მოთხოვნილი თანხა:	(ლარი)
თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში):	(ლარი)

1. **კონფერენციაზე წარსადგენი ნაშრომის აბსტრაქტი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)**

2. **დანართები (სავალდებულო):**

□ განაცხადის ყველა მონაწილის CV/რეზიუმე;

□ განაცხადის ყველა მონაწილის სტუდენტის ცნობა;

□ კონფერენციის ორგანიზატორებისგან მიღებული თანხმობა/ოფიციალური მოწვევის წერილი კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობის შესახებ;

□ კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობის ღირებულების მტკიცებულება.

□ გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის კონკურსში მონაწილეობისთვის.

□ განცხადებაზე ხელისმოწერით ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ ინფორმაციას. ასევე თანახმა ვარ, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადამოწმებასა და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსიდან მოიხსნას ჩემს მიერ წარდგენილი განაცხადი.

სახელი და გვარი:_____

ხელმოწერა: _____ თარიღი: __/__/_____

კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები

#	შეფასების კრიტერიუმები	შეფასება
1	**პრობლების აქტუალობა:** პროექტი მიმართულია შესაბამისი სამეცნიერო დარგის/მიმართულების პრობლემის/პრობლემების გადაჭრისკენ.	10 ქულა
2	**მიზნები და ამოცანები:** გადასაჭრელი პრობლემა ან გამოწვევა მკაფიოდაა განსაზღვრული და განმარტებული; ჰიპოთეზა ან/და საკვლევი კითხვა ზუსტადაა ჩამოყალიბებული; პროექტის მიზანი მიღწევადია; ამოცანები რეალისტურია და მიზნების შესაბამისი.	10 ქულა
3	**კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები:** პროექტის მიზნების მისაღწევად შერჩეულია სათანადო მეთოდოლოგია; მონაცემთა ანალიზისთვის შერჩეულია სათანადო მეთოდები.	10 ქულა
4	**კვლევის დაგეგმვა და განხორციელება:** კვლევის განხორციელების პროცედურები და ეტაპები დეტალურადაა გაწერილი; პროექტის გეგმის ყველა ნაბიჯი ზუსტადაა აღწერილი. გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი პროცედურა რისკების მართვის, მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით; გათვალისწინებულია კვლევის ეთიკის პრინციპები.	10 ქულა
5	**მოსალოდნელი შედეგები:** მოსალოდნელ შედეგებს გააჩნიათ სამეცნიერო ან/და პრაქტიკული ღირებულება;	10 ქულა
6	**კომუნიკაცია და გავრცელება:** პროექტი გვთავაზობს სათანადო სტრატეგიას და ზომებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიას შორის შედეგების გასავრცელებლად. წარმოდგენილია პროექტის შედეგების გამოქვეყნების რეალისტური გეგმა სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებისა და შეხვედრების მეშვეობით.	10 ქულა

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის საკონკურსო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

#	შეფასების კრიტერიუმები	შეფასება
1	**კონფერენციის ხარისხი, რეპუტაცია, სტრუქტურა** კონფერენციას აქვს გამართული ვებ-გვერდი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია: კონფერენციის ორგანიზატორების შესახებ; სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტების შესახებ; აბსტრაქტების მიღების, შეფასებისა და შერჩევის შესახებ; კონფერენციის პროგრამა; ჩატარებული კონფერენციების არქივი; დეტალური ინფორმაცია აბსტრაქტების/შრომების კრებულის გამოცემის შესახებ (გამომცემლობა, ინდექსირება), და ა.შ.	10 ქულა
2	**აბსტრაქტის ხარისხი** წარმოდგენილი აბსტრაქტი მაღალი ხარისხისაა: მკაფიოდ არის განსაზღვრული კვლევის მიზანი, ამოცანები, მეთოდი, შედეგები და დასკვნა; კვლევას გააჩნია ინტერდისციპლინარული ხასიათი.	10 ქულა
3	**კარიერული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა** კონფერენციაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს განმცხადებლის კარიერულ და პიროვნულ განვითარებას ახალი თანამშრომლობის, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების დამყარების გზით; კონფერენციაში მონაწილეობა განმცხადებლის მიერ ახალი ცოდნის შეძენას და არსებული ცოდნის გაცვლას/გაზიარებას.	10 ქულა

კვლევითი პროექტის მიმდინარეობის ანგარიში

1	ხელშეკრულების თარიღი:	
2	საანგარიშო პერიოდის №:	
3	ანგარიშის ტიპი:	☐ შუალედური ☐ საბოლოო
4	პროექტის სახელწოდება:	
5	კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა პროექტი: (კონკურსის/პროგრამის სახელწოდება, წელი)	
6	პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:	
7	პროექტის ხანგრძლივობა (თვეების რაოდენობა): პროექტის დაწყება (რიცხვი/თვე/წელი): პროექტის დასრულება (რიცხვი/თვე/წელი):	
8	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:	

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: _____

1. კვლევითი პროექტის მიზნები და ამოცანები

აღწერეთ განხორციელებული პროექტის მიზნები და ამოცანები

2. პროექტის შედეგების მოკლე რეზუმე და ანგარიში (შუალედური/საბოლოო)

რეზიუმე უნდა მოიცავდეს პროექტის შედეგების მოკლე აღწერას. რეკომენდირებულ სიტყვათა რაოდენობა - 250.

3. კვლევითი პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქტები

მიუთითეთ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქტები ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან:

3.1. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში/გამოცემებში გამოქვეყნებული სტატია

№	ავტორ(ებ)ი	სტატიის სათაური	ჟურნალის სათაური	სტატიის სტატუსი (შეარჩიეთ მენიუდან)	გამოცემის თარიღი (დდ/თთ/წწ)	ინტერნეტ-ბმული / DOI

1				Choose an item.		
2				Choose an item.		
3				Choose an item.		
4				Choose an item.		
5				Choose an item.		
6				Choose an item.		

კომენტარი:

3.2. სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები

№	ღონისძიების ჩატარების ადგილი *(ქალაქი, ქვეყანა)*	ღონისძიების ჩატარების თარიღი	ღონისძიების ტიპი (შეარჩიეთ მენიუდან)	ღონისძიების ფორმატი (შეარჩიეთ მენიუდან)	თემის სახელწოდება	ინტერნეტ-ბმული
1			Choose an item.	Choose an item.		
2			Choose an item.	Choose an item.		
3			Choose an item.	Choose an item.		
4			Choose an item.	Choose an item.		
5			Choose an item.	Choose an item.		
6			Choose an item.	Choose an item.		

კომენტარი:

3.3. სხვა პროდუქტები

აღწერეთ კვლევითი პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სხვა პროდუქტები (მაგ. მონაცემთა ბაზები, ფიზიკური კოლექციები, აუდიო ან ვიდეო პროდუქტები, კვლევის მასალები, პროგრამა, ინსტრუმენტები ან დანადგარები, კვლევის შედეგად ინიცირებული სხვა პროდუქტები, ა.შ.)

4. სირთულეები პროექტის განხორციელების პროცესში

აღწერეთ კვლევის განხორციელების დროს წარმოქმნილი სირთულეები (მაგ. სამეცნიერო მუშაობისას წარმოქმნილი სირთულეები, ტექნიკური სირთულეები და სხვა.); აღწერეთ მათი გამომწვევი მიზეზები და მათი გადაწყვეტის/მოგვარების გზები.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის ანგარიში

1	კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების შესახებ ბრძანების ნომერი და თარიღი:	
2	საერთაშორისო კონფერენციის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე):	
3	საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა), თარიღი და ვებ-გვერდის მისამართი:	
4	საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე):	
5	საერთაშორისო კონფერენციაში თანამონაწილე პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
6	სამეცნიერო ხელმძღვანელი:	
7	მთლიანი ბიუჯეტი:	

დანართები (სავალდებულო):

□ საერთაშორისო კონფერენციის პროგრამა (PDF ვერსია/სკანირებული ვერსია);

□ საერთაშორისო კონფერენციის შრომების/აბსტრაქტების კრებული (PDF ვერსია/სკანირებული ვერსია);

□ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (PDF ვერსია/სკანირებული ვერსია).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სტუდენტის ხელმოწერა: _____

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: _____